F567ო/3678

იდიდე მარად ჩემო სამშობლოვ!

საბჭოჲლოს ხევი

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-18 წელი

№ 11 (219)

ი ვ ნ ი ს ი.

1969 წელი



ქართველი მწერლები გ. ტაბიძის ძეგლთან ვანში.

საქართველოს სსრ. ცენტრალური ბიბლიოთეკა

კომუნისტთა დიდი ფორუმი

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოს გულისყური ახლა მოსკოვისაკენ არის მიპყრობილი. ამა წლის 5 ივნისიდან საბჭოთა კავშირის დედაქალაქში მუშაობა დაიწყო კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირმა.

თვით ასეთი წარმომადგენლობითი, დიდი თათბირის მოწვევა უკვე საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მნიშვნელოვანი გამარჯვებაა, რომელიც მის უძლეველობაზე მეტყველებს.

დასავლეთის პრესაში, რადიოში, ტელევიზიაში არაერთხელ და ორჯერ უთქვამთ, რომ კომუნისტური მოძრაობა, კომუნისტური პარტიები „ჩამორჩენილი“ ქვეყნების პოლიტიკური ცხოვრების წარმონაქმნიაო და მაღალი ეკონომიური პოტენციალის ქვეყნებში, ეკონომიურად განვითარებულ სახელმწიფოებში კომუნისტური, მარქსისტული მოძრაობა პოლიტიკურ ძალას არ წარმოადგენსო. შეეფერება განა კომუნისტური მოძრაობის ასეთი შეფასება რეალურ ვითარებას?

ნებისმიერი მსჯელობა რომ არ გამოგვივიდეს, მივმართოთ ფაქტებს, ციფრებს, სტატისტიკას. ინგლისელები იტყვიან, ფაქტები ჯობია რამ არისო. ვნახოთ ციფრობრივი მონაცემები. რამდენი კომუნისტი იყო კაპიტალისტურ ქვეყნებში და როგორ იზრდებოდა კომუნისტური პარტიების რიგები უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე? 1939 წელს ევროპაში (იმ ქვეყნების გარდა, რომლებიც სოციალისტური ქვეყნების ოჯახში შედიან) კომუნისტური პარტიის სულ 500 ათასი წევრი იყო, 1957 წელს ორმილიონნახევარი, 1961 წელს სამი მილიონი. აზიაში (აგრეთვე სოციალისტური ქვეყნების ჩაუთვლელად) 1939 წელს 20 ათასი კომუნისტი იყო, 1957 წელს მილიონ შვიდასი ათასი, 1961 წელს ორმილიონნახევარი. ამერიკაში, ლათინური ამერიკის ქვეყნების ჩათვლით, 1939 წელს 90 ათასი კომუნისტი იყო, 1957 წელს 200 ათასი, 1961 წელს 250 ათასი; აფრიკაში 1939 წელს 5 ათასი, 1957 წელს 20 ათასი, 1961 წელს 50 ათასი, ავსტრალიასა და ოკეანიაში 1939 წელს 5 ათასი, 1957 წელს ექვსი ათას ხუთასი, 1961 წელს შვიდი ათას ხუთასი.

კომუნისტების რიცხვი განუწყვეტლივ იზრდებოდა და ახლაც იზრდება, მიუხედავად იმისა, რომ მათ თავზე ატყდებათ რეპრესიები, მათ ციხეებში ამწყვდევენ, სტანჯავენ, ხვრეტენ, აწამებენ. ასეა ლათინური ამერიკის მრავალ ქვეყანაში, აზიაში. ინდონეზიაში ორჯერ ამ საუკუნის ორმოციან წლებიდან დღევანდლამდე ფიზიკურად გაანადგურეს ხუთ მილიონამდე კომუნისტი. განა ასეთივე რეპრესიები არ დაატეხეს თავს კომუნისტებს ესპანეთში, პორტუგალიაში, რომ არაფერი ვთქვათ საბერძნეთზე. ფედერაციულ გერმანიაში, სადაც ესოდენ ხმამაღლა ლაპარაკობენ დემოკრატიაზე, კომუნისტური პარტია ათეული წლების მანძილზე კანონგარეშე იყო გამოცხადებული.

პარადოქსალური ვითარება იქმნება: ერთი მხრივ გაიძახიან, კომუნისტები არავითარ ძალას არ წარმოადგენენო, მეორე მხრივ კი ტერორის ყველა ხერხს მიმართავენ ამ თითქოს უძლური პოლიტიკური პარტიის წინააღმდეგ! არავითარი პარადოქსი აქ არ არის. კომუნისტები უკლებლივ ყველა ქვეყანაში რეალურ ძალას წარმოადგენენ. ერთხანს გაიძახოდნენ, კომუნისტები მოსკოვის აგენტები არიანო. ეს ბინძური დემაგოგია ადვილად ამხილა ცხოვრებამ. ვინ გაბედავს ახლა იმის თქმას, რომ, მაგალითად, საფრანგეთის კომუნისტური პარტია არ წარმოადგენს რეალურ ერთ ვნულ ძალას, რომ ამ პარტიას ღრმა ფესვები არა აქვს გადგმული საფრანგეთის პოლიტიკური ცხოვრების ნიადაგში. 1969 წლის პირველი ივნისის საპრეზიდენტო არჩევნების დროს კომუნისტური პარტიის კანდიდატმა, საფრანგეთის გამოჩენილმა მოქალაქემ და პატრიოტმა ჟაკ დიუკლომ, რომელიც ჰიტლერელთა ოკუპაციის დროს იატაკქვეშ მეთაურობდა ბრძოლას ფაშისტ ბარბაროსთა წინააღმდეგ, ფრანგთა ხუთი მილიონი ხმა მიიღო.

ვის შეუძლია თქვას, რომ იტალიის კომუნისტური პარტია, რომელიც დააარსეს გამოჩენილმა მოაზროვნეებმა და პოლიტიკურმა მოღვაწეებმა ანტონიო გრამშიმ (იგი მუსოლინის ციხის საკანში დაიღუპა) და პალმირო ტოლიატიმ, უდიდესი ეროვნული ძალა არ არის; უმისოდ ხომ წარმოუდგენელია იტალიის პოლიტიკური ცხოვრების დღევანდელი და, მით უმეტეს, ხვალინდელი დღე.

შესანიშნავი ბასკი ქალი, ესპანეთის გმირული პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი პასიონარია-დოლორეს იბარური გმირობისა და თავისი იდეალისადმი ერთგულების სიმბოლოდ იქცა.

მსოფლიოს კომუნისტთა ახლანდელ დიდ ფორუმს სხვადასხვა მიზეზის გამო კიდევ შვიდი პარტიის წარმომადგენელი ვერ ესწრება, მაგრამ ისინი უჭერენ მხარს დოკუმენტების იმ პროექტებს, რომლებიც თათბირის განხილვის საგანს წარმოადგენს.

ამრიგად, კომუნისტურმა მოძრაობამ ჭეშმარიტად მსოფლიო ხასიათი მიიღო. 1919 წელს კომუნისტური ინტერნაციონალის I კონგრესზე წარმოდგენილი იყო 30 ქვეყნის კომუნისტური პარტია და მემარცხენე სოციალისტების სხვადასხვა ორგანიზაცია. 1935 წელს კომუნისტური ინტერნაციონალის VII კონგრესის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს 59 კომუნისტური და მუშათა პარტიის წარმომადგენელმა. 1957 წლის თათბირს 64 პარტიის, ხოლო 1960 წლის თათბირს 81 კომუნისტური და მუშათა პარტიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. დღეს კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გენერალურ ხაზს 82 პარტია ადგას.

ცნობილია, და ამას ახლა ისტერიულად გაჰკივის დასავლეთის ინფორმაციის სხვადასხვა წყარო — უურნალ-გაზეთები, რადიო, ტელევიზია და ა. შ., რომ სამიოდე პარტიის წარმომადგენელი, მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანი პარტიისა, როგორიც, მაგალითად, ჩინეთის პარტიაა, არ მონაწილეობს ამ თათბირის მუშაობაში. ასეთი ვითარება გამოიწვია ამ პარტიების დღევანდელი ხელმძღვანელების, კერძოდ მაო ძე-დუნის ჯგუფის გამოიშველმა ქცევამ. მაგრამ არავის ეპარება ეჭვი, რომ დრო და უამი თავისას გაიტანს და იტყვის. ამ ხალხების საქმეს ისტორიულ პერსპექტივაში თუ განვიხილავთ, მივხვდებით, რომ

კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის საერთაშორისო თათბირის გამო

◆

ადრე თუ გვიან ამ პარტიების ძირეული ეროვნული ინტერესი, ბოლოს და ბოლოს, დააბრუნებს მათ მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის რიგებში.

ისიც კარგად არის ცნობილი, რომ მოსკოვის თათბირი თითქმის ორი წლის მანძილზე მზადდებოდა. თათბირისათვის წარმოდგენილი დოკუმენტები მრავალმხრივ იყო განხილული. ეს იყო ჭეშმარიტად ფართო დემოკრატიული ხასიათის მუშაობა. ყველა პარტიის წარმომადგენელს შეეძლო შეეტანა ამ დოკუმენტებში თავისი მოსაზრებანი, შესწორებანი, წინადადებანი.

ეს წერილი რომ იწერებოდა, თათბირზე უკვე 85 პარტიის წარმომადგენელი გამოვიდა. ყველა ორატორი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ თათბირი მიმდინარეობს სერიოზულ, საქმიან, დემოკრატიულ ატმოსფეროში, ყველა მოწვადინებული იყო მოეძებნა პოზიცია, რომელიც კი არ თიშავს, არამედ ამჟიდროებს, ხელს უწყობს იმპერიალიზმის, რეაქციის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლას.

თათბირმა ერთხმად მიიღო მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტები ვიეტნამის შესახებ, აგრეთვე ისრაელის აგრესიის შესახებ.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობენ კლასობრივ ბრძოლებში, სოციალიზმის მშენებლობის ხელმძღვანელობაში გამობრძმედილი პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებსაც დიდი გამოცდილება აქვთ როგორც პრაქტიკულ საქმიანობაში, ისე თეორიულ კვლევაში. ამიტომ კამათი მრავალმხრივი და ღრმა დისკუსიის პირობებში მიმდინარეობდა. რასაკვირველია, ასეთ წარმომადგენლობით ფორუმზე შეუძლებელია არ არსებობდეს აზრთა სხვაობა, თანამედროვე სამყაროს მეტად რთულ პრობლემათა გაგებისა თუ ანალიზის სხვადასხვა მეთოდები.

იმპერიალისტური რეაქციის სამსახურში მყოფი პროპაგანდისტები ცდილობენ მრუდე სარკეში წარმოადგინონ ეს დისკუსია. დისკუსია რომ არ ყოფილიყო, ქვეყანას გააყრუებდნენ, კრემლში ყველა ერთნაირად ლაპარაკობსო. დისკუსია რომ გაიმართება, გაიძახიან, კომუნისტების თათბირზე აზრთა სხვაობა არისო. ასეთ დემაგოგიას ადამიანმა ყური არ უნდა უგდოს.

თათბირმა დიდი ყურადღებით მოისმინა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის სიტყვა. ამხანაგ ლეონიდ ბრეჟნევმა ვრცლად ილაპარაკა თანამედროვე საერთაშორისო ვითარებისა და ანტიიმპერიალისტური ბრძოლის ამოცანების, იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მოქმედების ერთიანობისა და კომუნისტური მოძრაობის ზოგიერთ პრობლემათა შესახებ.

ამხანაგმა ლეონიდ ბრეჟნევმა საბჭოთა კავშირში სოციალიზმის მშენებლობის წარმატებების ფართო სურათი დახატა, დაწვრილებით შეჩერდა იმ გრანდიოზულ ამოცანებზე, რომლებსაც საბჭოთა ქვეყანა ისახავს მომავლისათვის. ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ერთგულია თავისი ინტერნაციონალური მოვალეობისა.

თათბირი მუშაობას განაგრძობს.


ვლადიმერ მაჭავარიანი.

ქ. თბილისი. 14 ივნისი.

დედა-სამშობლოს ამბები

საქართველოს

ბაღების ოქრო



ამჟამად საქართველოში დაახლოებით 12 ათასი ჰექტარი უკავია მანდარინს, ლიმონს, ფორთოხალს. ციტრუსოვანთა ბაღების ფართობი კვლავ იზრდება. ამ სეზონში გაშენდება 1.148 ჰექტარი, ხოლო მომავალ წელს უფრო მეტი. 1970 წლის დამლევისათვის ციტრუსები ჩვენში 15 ათას ჰექტარამდე ფართობს დაიკავებს. ფართობის ზრდასთან ერთად მატულობს ნაყოფის მოსავალიც. ახლა ციტრუსების ბაღები იძლევიან 40-50 ათას ტონას. ქართულმა მანდარინმა გემოთი წინ გაუსწრო საზღვარგარეთულ ჯიშებს. სხუკეთესო ჯიშად ითვლება აგრეთვე წვნიანი არომატული „ქართული“ ლიმონი, რომელსაც 6,5 პროცენტი მჟავიანობა აქვს.

შეუპოვრად შრომობენ მეციტრუსეები უხვი მოსავლის მისაღებად. 500-მდე კაცდღე სჭირდება 200 ჰექტარი ბაღის მოვლას. ნიადაგში შეაქვთ ტორფ-ნაკელი, კომპოსტი, მინერალური სასუქები, ხუთ-ექვსჯერ თოხნიან ნიადაგს, წარმოებს ბრძოლა მცენარეთა დაავადებებთან და მავნებლებთან. 80 ათასი მეტრი დოლბანდი იხარჯება ზამთარში სითბომოყვარული მცენარეების დასაფარავად. ამ სიძნელეების მიუხედავად ჩვენში ბევრია ოსტატი მეციტრუსე, რომლებიც ყოველწლიურად თითო ხეზე კრეფენ 2.000-2.500 ცალ მანდარინს. უხვი მოსავლით არის განთქმული ბათუმის, ქობულეთის, მახარაძის რაიონების კოლმეურნეობები და ბევრი სხვა მეურნეობის ბაღები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღეს გადაწყვეტილება ციტრუსოვანი კულტურების ფართობების შემდგომი ზრდისა და ნაყოფის დამზადების გადიდების შესახებ. დიდი ყურადღება ექცევა ლიმონს. გათვალისწინებულია ფართოდ დაინერგოს წარმოებაში მიწაზე გართხმული ფორმის ლიმონი შუქგაუმტარი საფარების გამოყენებით. მანდარინის ახალი ბაღები გაჩნდება კოლხიდის დაბლობის ამოშრობილ მიწებზე.

მომავალ ხუთ წელიწადში ციტრუსების ბაღები გაფართოვდება კიდევ ხუთი ათასი ჰექტარით. საქართველო სულ უფრო მზარდი რაოდენობით მოიყვანს ამ ოქროსფერ ნაყოფს და გაადიდებს მის ექსპორტსაც.

საქართველოს ჩაის ერთ-ერთ უდიდეს მეურნეობაში — მოქვის (ოჩამჩირის რაიონი) საბჭოთა მეურნეობაში ჩაის კრეფა შუა ფაზაში შევიდა. აქაურმა მეჩაიეებმა წელს 1.700 ტონა ჩაის ფოთოლი უნდა მოკრიფონ. აქედან 400-მდე ტონას ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“ მოკრეფს.

სურათზე: ჩაის კრეფა „საქართველოთი“ მოქვის საბჭოთა მეურნეობაში.

ფოტო ი. ჭოხონელიძისა.

პოეტის უკვდავსაყოფად

ვანი. რამდენიმე დღეს გრძელდებოდა ზეიმი მეოცე საუკუნის გამოჩენილი ქართველი პოეტის გალაკტიონის მშობლიურ კუთხეში. აქ, რაიონულ ცენტრში, „გალაკტიონის კვერში“ აღიმართა დიდი პოეტის ძეგლი.

ძეგლის გახსნის ზეიმში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს ყოველი კუთხიდან ჩამოვიდნენ გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის თაყვანისმცემლები. აქ იყვნენ დიდი პოეტის ნათესავები, მეგობრები, ქართველი მწერლები, საქართველოს კულტურისა და მეცნიერების მოღვაწენი, მოსკოველი, გერმანელი, ბულგარელი სტუმრები.

ვანში ჩამოსულმა სტუმრებმა ძეგლის გახსნის შემდეგ დაათვალიერეს გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების მშობლიური სოფელი ჭყვიში.

გაიმართა საზეიმო ლიტერატურული საღამო, რომელზეც სიტყვებით გამოვიდნენ ქართველი და უცხოელი მწერლები. ლიტერატურულ საღამოზე გადაწყდა — გალაკტიონის მშობლიურ რაიონში ივნისის დამდეგს ყოველწლიურად გაიმართოს სახალხო ზეიმი — „გალაკტიონობა“.

რ. რამიშვილი.

გალაქტიონ ტაბიძის დღე ინსტიტუტში

თელავი. კარგი თაოსნობა გამოიჩინეს თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურული წრის წევრებმა. აი უკვე თითქმის წელიწადია სტუდენტები აგროვებენ მასალებს გამოჩენილი პოეტებისა და მწერლების გ. ტაბიძის, გ. ლეონიძის, ი. გრიშაშვილის, გ. ქუჩიშვილისა და სხვათა შესახებ.

გადაწყდა ინსტიტუტში მოეწყოს დღეები, რომლებიც მიეძღვნება საყვარელი მწერლების ხსოვნას.

გალაკტიონ ტაბიძის გარდაცვალების ათი წლისთავისადმი მიძღვნილი პირველი ასეთი დღე გაიმართა ინსტიტუტში.

მოხსენება გ. ტაბიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ წაიკითხა დოცენტმა ლ. დეისაძემ. ინსტიტუტის თანამშრომელმა დ. ჯავახიშვილმა დამსწრეთ უამბო ლექსების ციკლზე, რომლებიც პოეტმა კახეთში დაწერა.

პოეტისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს თელავის ორჯონიკიძის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობებმა ო. შუბითიძემ, ი. ჩხუბიანაშვილმა, დ. საგანელიძემ.

ვაზის ნერგების ელექტროსტიმულაცია

ელექტრობის გამოყენება მევენახეობის სანერგე მეურნეობებში პერსპექტიული საქმეა. იგი ზრდის ვაზის ნერგების გამოსავალს და აუმჯობესებს ხარისხს. მრავალი წლის გამოკვლევების შემდეგ ასეთ დასკვნამდე მივიდა ქართველ მეცნიერთა — სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის, მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტისა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის თანამშრომელთა ჯგუფი.

რესპუბლიკაში ყოველწლიურად იზრდება ვენახების ფართობი. ეს მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია სანერგე მეურნეობებზე, სადაც მზადდება სარგავი მასალა.

მკვლევარებმა გამოიყენეს სარგავი მასალის სტიმულაციის ელექტროფიზიკური მეთოდები და კარგ შედეგებს მიაღწიეს. აღმოჩნდა, რომ სარგავი მასალის ზრდის უჯრედებს, რომლებიც ელექტროთვისებების მატარებლები არიან, შეუძლიათ შეცვალონ ცხოველმოქმედება დენის სიდიდის მიხედვით. გამოკვლევების შედეგების მიხედვით ყველაზე ეფექტიანი მეთოდია ლერწების დამუშავება მაღალი ძაბვის ელექტროარეში.

ექსპერიმენტების შედეგები საფუძვლად დაედო ნერგების ელექტროსტიმულაციის აპარატის კონსტრუქციას. იგი დაამუშავეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში.

საქართველოს სსრ. სახელმწიფო ბიბლიოთეკა

ახალი სტუდია თბილისში

გრამფირფიტების ფირმა „მელოდიამ“ გრამჩაწერის სტუდია შენდება თბილისში. ახლა მიმდინარეობს მოსაპირკეთებელი სამუშაოები. მალე დაიწყება მოწყობილობის მონტაჟი.

სტუდიის შენობას ექნება ორი დარბაზი — კამერული მუსიკის, საოპერო და სიმფონიური ნაწარმოებების ჩასაწერად. მეორე შენობაში მოთავსდება საპარატო სტუდია ხელახალი ჩაწერისათვის, გრამფირფიტების და მატრიცების წარმოებისათვის. სტუდია მწყობრში ჩადგება 1970 წელს.

— „მელოდიის“ ახალი სტუდიის მშენებლობის დამთავრებამდე ჩაწერა წარმოებს თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში, — უთხრა „სამშობლოს ხმის“ კორესპონდენტს სტუდიის დირექტორმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა კ. კინწურაშვილმა. — წელიწადში ვუშვებთ 400 ათასზე მეტ გრამფირფიტას. ჩაწერილია კომპოზიტორების ბ. კვერნაძის, ა. მაჭავარიანის, ს. ცინცაძის, ა. შავერზაშვილისა და სხვათა სიმფონიები, კონცერტები ვიოლონჩელოსა და ფორტეპიანოსათვის.

დიდი წარმატებით სარგებლობს ფონოქრესტომათია ქართული სკოლების მე-4-9 კლასებისათვის. იგი ეხმარება მოსწავლეებს უკეთ შეითვისონ ქართული ენა და ამავე დროს თავისებური თვითმასწავლებელია.

შამპანური — ჩრდილოეთ პოლუსზე

შამპანური და ყინული ჩვეულებრივი შეხამებაა. ეს სიხარულის სასმელი სუფრაზე მოაქვთ ოდნავ გაყინული. მაგრამ მინუს შვიდი-ცხრა გრადუსი ტემპერატურის დროს შამპანური საბოლოოდ კარგავს თავის გემოს და ყინულად იქცევა. სამხრეთის ნაზ სასმელს ჩრდილოეთში გზავნიდნენ ნახერხით, ბურბუშელათი და ბამბით შეფუთულს, მაგრამ ესეც ყოველთვის როდი შველოდა: ღვინო იყინებოდა, ბოთლები სკდებოდა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ქიმიური მრეწველობის სამმართველოს პოლიმერული მასალების გადამუშავებისა და გამოყენების სპეციალურ საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროში შექმნეს სამედო ტარა შამპანურისათვის. იგი გაკეთებულია პენოპლასტისაგან და ღვინოს იცავს 50-60 გრადუსი ყინვისაგან — წაიღე თუნდაც ჩრდილოეთის პოლუსზე. პოლიმერისაგან გაკეთებული კომპაქტური ტარა 12 ბოთლისათვის წინანდელზე გაცილებით იაფი ჯდება, უფრო მარტივი დასამზადებელია და ჰიგიენურია.

ამ სიახლის ავტორია სპეციალური საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროს განყოფილების კოლექტივი გ. ჩოგოვაძის ხელმძღვანელობით. აქ შექმნეს ავრეთვე დაყალბების ტექნოლოგია და საცდელი დანადგარი. მათ საფუძველზე თბილისის შამპანური ღვინოების ქარხანაში უახლოეს დროში ამუშავდება ავტომატური ხაზი, რომელიც წელიწადში დამოუშვებს ას ათასამდე ცალ პოლიმერულ ტარას.

რომანტიკოსები

ცნობილი ათლეტებიც კი ალიარებენ მის უპირატესობას ძალაში, მოხერხებულობასა და გამბედაობაში. ქალიშვილებმა კი უსიტყვოდ მიაკუთვნეს პირველობა ამ ტანდაბალ, მზეზე გარუჯულ ჭაბუკს, სამთო მოთხილამურის ცისფერ კოსტიუმში რომ გამოწყობილა.

მიტო დანგაძე საუკეთესო სამთო მოთხილამურეა. ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი და არაერთგზის პრიზიორია ალპინიზმში, იაპონიის ალპური კლუბის საპატიო წევრია. ის აგრეთვე პროფესიული მხატვარია. მას თანამოყვარეებს მიაჩნიათ, რომ მრტოს საკმაო ნიჭი აქვს. საითაც უნდა იტაცებდეს მრტოს მისი რომანტიკული ბუნება —იალბუზიც, ფუძიამას, თუ მონბლანის მწვერვალებისაკენ, მასში ყოველთვის ცოცხლობს მხატვარი. მაგრამ მის ნამუშევრებში ყველაზე მკაფიოა ბაკურიანის თემა: გაბედული მოთხილამურე ვაჟები თუ მორიდებული ქალიშვილები, ხუჭუჭა ნაძვნარები, თოვლიანი ველი მარტოხელა მოგზაურით. იგი ხომ ამ ადგილების მკვიდრია, აქ დათოვლილი მთებისა და ფიჭვის სუნით გაჟღენთილი ჰაერის მხარეში პოულობს ბუნებრივ გამოსავალს სპორტსმენისა და მხატვრის დაუოკებელი ბუნება.

ბაკურიანში იგი მოცლილი დამსვენებელი კი არ არის, არამედ სამთო მაშველი სამსახურის უფროსია. ეს მისი მეორე პროფესიაა, და ისე შეუყვარდა, რომ აი უკვე მეექვსე წელია ზედიზედ, მთელ სპორტულ სეზონს დეკემბრიდან მარტამდე აქ ციცაბო კალთებზე ატარებს. ხშირად ნახავთ, როგორ მიჰქრის იგი ამ უძნელეს სათხილამურო ტრასაზე და ზურგზე წამოკიდებული ჰყავს უხეირო მოთხილამურე. იგი სასწრაფო დახმარებაა იმათთვის, ვისაც ბედმა უმტყუნა დაშვების დროს. იყო შემთხვევა, როცა ერთი ფეხმოტეხილი მოთხილამურე ზურგით ატარა საავადმყოფომდე. ეს კი კარგი ოთხი კილომეტრი გზა იყო.

მიტომ საცხოვრებელიც უჩვეულო აირჩია. ქოხი კოხტას ძირთან, ხმაურიანი სასპორტო ბანაკებისაგან მოშორებით ააგო. ამ სახლში მისი უცვლელი მეზობელია სამთო მაშველი, არქიტექტორი ჭუჩი ჭუბაბრია.

ეს ქოხი ბაკურიანის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობაა. თუმცა გარეგნულად იგი არაფრით არ გამოირჩევა, მაგრამ შიგნით ძალიან მოგვაგონებს მხატვრის სახელოსნოს. ოთახის კუთხეებში, კედლებზე — მზა ან დაუმთავრებელი პროექტები და აკვარელია. ეს ქოხის პატრონების მიტო დანგაძისა და ქუჩი ჭუბაბრიას შემოქმედებაა.

მიტომ, მაგალითად, აქ დაამთავრა ნახატების სერია იაპონიის შესახებ, ქუჩიმ ვატმანის ფურცლებზე ასახა თბილისის ერთ-ერთი უძველესი რაიონის რეკონსტრუქციის პროექტის ძირითადი დებულებანი, პროექტია, რომელიც შემდეგ შევიდა როგორც ნაწილი საქართველოს დედაქალაქის განვითარების გენერალურ გეგმაში. მათ ერთად დააპროექტეს სამთო ქოხი, რომლის დადგმასაც აპირებენ ტბის ნაპირას, ათიოდ კილომეტრზე ბაკურიანიდან. „მშვიდი მოხუცებულობისათვის“ „ხუმრობენ მეგობრები.

... კარგა ხანია დამთავრდა ზამთრის სპორტული სეზონი. ბაკურიანელი რომანტიკოსები ჩაფლნენ თავიანთ ყოველდღიურ საქმეებში. მიტო დაუბრუნდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სამხატვრო აკადემიაში, ქუჩი — „თბილქალაქპროექტის“ ინსტიტუტს.

როცა კვლავ შევხვდით მეგობრებს, მივეცით ტრადიციული ჟურნალისტური შეკითხვა შემოქმედებითი გეგმების შესახებ.

— ვამზადებ პერსონალურ გამოფენას, — თქვა მიტომ.

— ვაპროექტებ საგარაკო კომპლექსს თბილისის ერთ-ერთი გარეუბნისათვის — გვიპასუხა ქუჩიმ.

რ. მეგრელიშვილი.

ავტომატიზებული კონტროლიორი

ხელსაწყო რძის მჟავიანობის გამოსაკვლევად შექმნეს თბილისის ანალიზური ხელსაწყოთმშენებლობის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს თანამშრომლებმა.

ცნობილია, რომ რძისაგან მისი მჟავიანობის ხარისხის მიხედვით მზადდება ესა თუ ის პროდუქცია. დღემდე მჟავიანობას განსაზღვრავდნენ ტიტრირების მეთოდით ლაბორატორიულ პირობებში. ეს პროცესი შრომატევადია და ბევრ დროს მოითხოვს.

გადასატანი პორტატიული ხელსაწყო სულ რამდენიმე წუთში დიდი სიზუსტით განსაზღვრავს მჟავიანობას. ამისათვის საკმარისია მგრძნობიარე ელემენტი ჩავუშვათ რძეში და საზომი გარდამქმნელის ბლოკზე აღინიშნება ჩვენება. ხელსაწყოს ჩვენება საკონტროლო რძის ტემპერატურის შეცვლის მიუხედავად მყარია. ეს მოსახერხებელია როგორც პროდუქციის მიღების დროს, ისე წარმოებისა და შენახვის პროცესში.

მცირე გაბარიტები და წონა, გაზომვის მაღალი სიზუსტე, მარტივი გამართვა და გადიდებული ტენიანობის პირობებში მუშაობის შესაძლებლობა ხელსაწყოს საიმედოს ხდის ექსპლოატაციის დროს. მარტო ერთი ხელსაწყოს დანერგვის ეკონომიური ეფექტი წელიწადში შეადგენს 2.500 მანეთს.

ასეთი ხელსაწყოების პირველ პარტიას დაამზადებს თბილისის ანალიზური ხელსაწყოთმშენებლობის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს საცდელი ქარხანა.

წნელისის მარმარილო

ზნაური. ფართოდ არის ცნობილი წნელისის მარმარილო, რომელსაც ზნაურის რაიონში იღებენ. მას იყენებენ რესპუბლიკის ბევრ მშენებლობაზე კიბეების, იატაკების, კედლების მოსაპირკეთებლად, ავრეთვე მინის წარმოებაში. წელს წნელისელებმა გამოუშვეს 200 ტონაზე მეტი ზეგეგმითი მარმარილოს ფხვნილი.

სიმღერა მთის

ქარი ჭრიდა და ერთხანს ვუსმენდი ქარის შხუილს.

— ამაზე მაღალი სოფელი არის კიდევ? — ვკითხე მძღოლს.

— მხოლოდ ერთია, ხარაულა.

მე უკან ვბრუნდებოდი, ვმორდებოდი ამ ადგილებს. გზა დაკლაკნილი იყო, თანაც — ქვაღორღიანი. ირგვლივ ლამაზი მთები იდგნენ, ქვევით კი ბაზარივით ეგდო აჭარისწყალი. აჭარისწყალი შხუოდა და მისი ხმა ჩვენამდე აღწევდა, ბუნებაც ირგვლივ უცნაური იყო, ფერდობებზე ზოგან მწვანე ბალახი ხასხასებდა, ზოგან ხე და კორდი ზამთარს შეეტრუსა, გაეხუნებინა, მაგრამ აქა-იქ გზისპირებზე კიდევ შერჩენილიყო ჩალაყვავილა და პაჭიჭა სოკო.

მოტორი ხმაურობდა. კაბინაში თბილოდა და მე ვფიქრობდი იმ დღეებზე, რომლებიც ამ მაღალმთიან სოფელში გავატარე. რაზე დავწერ მე ახლა? შევძლებ ავსახო იმ ადამიანთა ცხოვრება, რომლებიც ყოველ დღესა და საათს თავდადებულ შრომაში ატარებენ?

უცბად მოვა გაზაფხული, აალაპლაპებს მიწას. ახლა ღობეზე ეულად რომ ჩანს კუნელი, ფოთლებს აუბამს და აახმიანებს, ტანმარჩხი რუც, სოფლის ბოლოს რომ ჩამორბის, გადაირევა, შლამსა და გორახს ძღვენივით ჩაუზიდავს მდინარეს. იმ გაზაფხულზეც ასე იყო. მთელი სოფელი სავნაბე მიწების დასამუშავებლად გამოეფინა. ცხელოდა. სპილენძის პაწია თუნგით გოგონამ წყალი ამოარბენინა შინიდან, მამაკაცებმა ვენახის ბარვა შეწყვიტეს და ცას ახედეს. მზე საშუადღეოდან უღიმოდათ.

— აი, იცოცხლე, რავა დროზე ამოგვიტანე წყალი! მერე და რა წყალია!

— შენ კი გაიხარე!..

წყალი მოსვეს და ისევ მიწას მიანდეს ბარი. უზარმაზარი ბელტები ზიმზიმებენ მზის გულზე. ახლედ აბაშიძემ ვინ იცის, მერამდენეჯერ დაჰკრა მიწას ბარი, მაგრამ ვერ იქნა და ვერ მოიკიდა ბარმა პირი.

— ნამდვილად ლოდია, — თქვა თავისთვის, თანაც ეჭქვმა გაკენწლა. ამ ფერდობზე, რომელიც რიზალ მამულაძის სამოსახლო ნაკვეთად ითვლებოდა, წამლადაც რომ გდომოდა, კენჭს ვერ იპოვნიდი, ახლა კი ბელტი ვერ ამოატრიალა. ხუსიკა ელაძეს დაუძახა, შენ ჩემზე ჯელი ხარ, იქნებ გადაბაროო. ხუსიკამაც ვერ შეძლო. მაგრამ ხუსიკამ ერთხანს ნელა უკაკუნა მიწას ბარი, მერე კი გაოცებითა და კითხვით ამოხედა ახმედს ჭროღა თვალებით.

— აქ რაღაც სხვაა, გესმის, რა ყრუდ ამოიძახა მიწამ.

ახლა ახმედმაც მიუგდო ყური, ქვევით, სიღრმეში რაღაც გუგუნებდა.

სხვებიც მოვიდნენ.

ახლა ყველანი თხრიდნენ, თხრიდნენ ფრთხილად, მერე ვიღაცამ დაიძახა:

— ქვევრი ყოფილა ნახეთ, ქვევრი არ ყოფილა?!

...ეს იყო იმ გაზაფხულზე.

ქვევრი უზარმაზარი აღმოჩნდა. თანაც მთელი. და რაც მთავარია, მის ფსკერზე ჭაჭა იყო დალექილი, მაშინ დიდ-პატარა, ვინ იცის, საიდან არ მოვიდა იშვიათი ნაპოვნის სანახავად. სოფელში ყველაზე უხნესი ბერიკაცი, ბარე ასი წლის ჭუსიან ხალვაში კარგა ხანს ხმაგაბმენდილი იდგა ქვევრთან. უყურებდა როგორ დარბოდნენ ბალღები ქვევრის გარშემო. მერე ქვევრიდან ამოღებული ჭაჭა დაყნოსა და გაიღიმა.

— სურნელიც არ დაკარგვია, ჰა?

— ნეტავ რამდენი ხნისაა? — იკრძხა ხასან თავართქილაძემ.

უზარმაზარი ქვევრი ბიჭებმა ძლივს გადიტანეს კოლმეურნეობის მარანში.

— აბა, მომიტანეთ სარცხი, — თქვა ისრაფილ ხალვაშმა და ფეხზე გაიხადა.

— მე თვითონ გავრეცხავ ქვევრს, მასში ჩვენს ღვინოს ჩავასხამთ, ახალი დროის ღვინოს.

მერე დიდხანს ისმოდა სარცხის შხუილი. იმ ღამეს თავმჯდომარე შინ ჩაფიქრებული დაბრუნდა.

ბალღები ოდის წინ თამაშობდნენ.

ტახტზე წამოწვა. მაინც როგორ ცდილობდნენ ის გადამთიელები ჩვენთვის, საქართველოს ამ განუყოფელი კუთხისათვის მოესპოთ მშობლიური ენა, აღეგვათ მიწის პირიდან წარსულის ძეგლები. ცეცხლითა და მახვილით გვამაჰმადიანებდნენ... სამასი წელი სამას იარასავით სტკივა საქართველოს. ეს იცის ისრაფილმა, ბედნიერია იგი, ბედნიერია ამ ახალი ცხოვრებით, იმ სინათლით, რომელმაც მათ სოფელშიც შეაღწია. იცის, რომ ის შავბნელი წლები აღარასოდეს განმეორდება. მისი შვილები ქართველ ვაჟკაცებად იზრდებიან.

თამბაქოს სამრობი ფარდულის მშენებლობაზე ვიპოვნე, იზით ბერიძე ოსტატებს ეხმარებოდა. ეს იყო ტანდაბალი, ჩასკვნილი და შავტუხა მამაკაცი: სქელი, ხუშები ქსოვილის პიჯაკი ეცვა. ტყავის ჩექმები კი სულ ერთთავად ტალახში ამოსვროდა. ეგ ისეთია, ვავიფიქრე, ამ სისხამ დილას მთელ დუნიას შემოირბენდა, პლანტაციებში გავიდოდა. ახლა კი დაუზარელად უკაკუნებს ჩაქუჩს. როცა უკანასკნელ ლურსმანს აჭედებს, მხარით აწვება კედელს, იცინის: მაგარია, აქაური ქარი კი არა, ზვავიც ვერ გაიტანს.

იქვე ვსხდებით.

შემოდიან კოლმეურნენი. უცხოს მხედავენ. ჯერ ერიდებათ, ამინდზე ლაპარაკობენ. ჩვენს ირგვლივ მთებია — დათოვლილი და დაუთოვლავი. ხორხას გორა ისე გადმოხრილა კოკოტაურისაკენ, თითქოს ამ სოფლის გულში ჩახვევა უნდა.

კოკოტაურში გამრჯე ხალხია. აქაური



მომავალი თაობა.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

კრწანისული

„კრწანისული“ — ასე უწოდა საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინალური სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტის მეცხოველეობის კათედრის დოცენტმა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა ნ. ანთაძემ გაუმჯობესებული ჯიშის ინდაურს. ათი წელი დასჭირდა მეცნიერს, რომ მიეღწია დასახული მიზნისათვის — ერთიორად გადიდებინა და სტაბილური გაეხადა დედალი ინდაურის წონა ექვსი კილოგრამის დონეზე, ხოლო მამალი ინდაურისა — 12 კილოგრამის დონეზე.

მეცნიერმა უარი თქვა სხვადასხვა ჯიშის შეჯვარების მეთოდზე. უმჯობესდება ინდაურის მუტაციური ფორმები, ესე იგი ისეთი ინდაურისა, რომელთა გაჩენა ხდება აუხსნელი მიზეზებით. მაგალითად, მას შემდეგ, რაც ინდაური საქართველოში გავრცელდა (XVIII საუკუნე), იგი გამოირჩეოდა შავი ფერის ბუმბულით, რომელსაც ბრინჯაოს ელფერი გადაჰკრავდა. მაგრამ დროდადრო უცბად გამოჩნდებოდა ყვითელბუმბულიანი, თეთრფრთებიანი და ბოლოიანი ინდაური. ნ. ანთაძემ შეძლო შეერჩია რესპუბლიკის ყველა რაიონიდან მხოლოდ ოცი ასეთი ინდაური. მათთვის შექმნილმა მოვლისა და კვების მეცნიერულად დასაბუთებულმა პირობებმა შესაძლებელი გახადეს გაზრდილიყო საუცხოო გემოს ხორცის მქონე ფრინველის სულადობა, რომელიც უძლებდა დავადებებს. ამრიგად, პირველად ევროპაში ქართველმა სელექციონერმა შეძლო მიეღო ყვითელბუმბულიანი ინდაური, რომელიც გავს ცნობილ ამერიკულ ჯერსეის ჯიშს.

ინსტიტუტის კრწანისის სასწავლო მეურნეობაში ახლა ათასამდე ყვითელბუმბულიანი ინდაურია.

ლამაზ ყვავილებზე

კოლმეურნეობა ყოველწლიურად დიდძალ ჯურძენს, თამბაქოს, ხილს, სიმინდს და მეცხოველეობის პროდუქტებს აწვდის სახელმწიფოს, სოფელი შეძლებულად და კულტურულად ცხოვრობს.

— იზეთ, — მიუბრუნდა რიზალ გოლომანიძე იქვე მჯდომ პირნათელ მამაკაცს, — შარშან რამდენი შრომადღე გამოიმუშავეთ?

იზეთ ბერიძე, ეტყობა, სიტყვაუხვი კაცია. იგი ამბობს, რომ მარტო მან სამასი შრომადღე გამოიმუშავა, ხოლო მისმა მეუღლემ — ცოტათი ნაკლები.

იზეთს რვა შვილი ჰყავს.

— რვა შვილი? — გავკვირდი. — ეს ხომ მთელი სიმდიდრეა.

— არა, ძმაო, — მეუბნება რიზალ გოლომანიძე, — რვა შვილი ჩვენს სოფელში ჩვეულებრივი ამბავია. რვა და ათი ბაღანა თუ არა გყავს, სირცხვილიც არის. მაშ რა გგონია!

• • •

ფერდობებზე გაუკვალავი თოვლის სურნელი დგას. აქა-იქ იები და ენძელები ამოწვერილან. ახალაშენებული ორსართულიანი კანტორის სარკმლიდან ბუჩქები ჩანან. დღეს კარგი დარია. თოვა შეწყდა. კოლმეურნენი დილიდანვე გასულან ვენახებში. თამბაქოს სანერგე მიწაც მზად არის, ჩითილებიღაა გამოსაყვანი. ნერგების ჯადოქარი კი მევლუდ ზოიძეა. იგი სამოცდახუთ წელს მიჭანებული კაცია. თოვლივით თეთრი წვერი აქვს, ულვაშის ბოლოები კი თამბაქოს ბოლით შეყვითლებია. თურმე ისეთი ნერგების გამოყვანა იცის, გულს გაგიხარებს.

— ალბათ გაიგებდით, — გვეუბნება მევლუდის დამხმარე მენერგე ჯემალი მახარაძე, — ჩვენს რაიონში სასიგარეტე თამბაქო მოჰყავთ. სხვებზე ნაკლები რითი ვართ, ჩვენც შევეცდებით, აი ნახავთ...

— ნუ ტრაბახობ, — ეუბნება მევლუდი, — ეს სულ არ გიხდება. ვაქცია საქმე უნდა გვაჩვენოს. რა საჭიროა ტრაბახი!

უყურებ მათ და გჯერა, გჯერა ამ სახენათელი ადამიანებისა, მძიმედ რომ დააბიჯებენ, და სქელი ხალათის ქვემოდანაც მოუჩანთ, როგორ უტოკავთ კუნთები...

კანტორიდან გამოვედით და ფართო შარაგზას გავუყევით. ისრაფილ ხალვაში დაფიქრებულია. არც ვაწუხებ კითხვებით. ვინ იცის, რაზე ფიქრობს სოფლის თავკაცი. შეიძლება კოლმეურნეობის ახალ კანტორაზე, რომელიც ეს-ეს არის გადახურეს და გააწყეს, კლუბიც აქვე აქვთ, ფილმებს უჩვენებენ, ბიბლიოთეკაც ახალი ლიტერატურით შეივსო. კოლტაურელებს კითხვა უყვართ, განსაკუთრებით საქართველოს წარსულზე. ეს გასაგებიც არის.

ისრაფილს მძიმე და ფართო ნაბიჯი აქვს. ძლივს ვეწევი. გზადაგზა მაღალი სასლები გვხვდება. გზა ლამპიონებით არის განათებული, საიდანღაც მუსიკის მომაჯადოებელი ჰანგები ისმის. ეს ფალიაშვილია.

მაშინვე დავინახე ის სახლი. არ ვიცი, რატომ მიიპყრო ჩემი ყურადღება. ალბათ სოფლის ბოლოს რომ იდგა, იმიტომ. სოფლის ბოლოს — ცხენმლისა და წიფლის გაშიშვლებულ ხეებს იქით. ახალნაგები იყო. ვისი სახლია ნეტავ? შავ წარბებს ქვემოდან მიყურებს ისრაფილი. ისა? ჩვენი სოფლელისაა, მაშუდ კონცელიძისა. და მიყვება, მიყვება წყნარად, მოხუცს მასავით წელგაღუნული სახლი ედგა, აქ კი ქარი ქრის, ცივა, დავრდომილ ბერიკაცს აბა საიდან შესწევდა ძალა საოდე მასალა მოეჭრა და სახლის გაწყობაზე ეფიქრა.

— მადლი მოვიკიდოთო, — შეხვეწნია თავმჯდომარე სოფლელებს.

იმ დღეს კოლმეურნეობის საერთო კრება ჰქონდათ. ახალ ვალდებულებებთან ერთად, რა თქმა უნდა, ამაზეც ბევრი ილაპარაკეს. კეთილი და მუყაითი კაციაო, მისი დახმარება დღემდე აზრად როგორ არ მოგვივიდაო.

ეს იყო და ეს.

მერე რიგრიგობით ეხმარებოდნენ. მოზიდეს ხის მასალა, დახერხეს, მორები დაამზადეს, საიატაკე ძელები დათალეს და გაასაშრობად დააწყეს. უყიდეს კრამიტი და... ახალი ოდა ღიმილივით მოჩანს სოფლის ბოლოს გაშიშვლებული ცხენმლებისა და წიფლების ფონზე. როცა დაღამდება, ბერიკაცი სინათლეს აანთებს, სარკმლებიდან უხვად გადმოიღვრება შუქი, განათდება არემარე და ვინ იცის რამდენი მადლობით მოიხსენიებს:

მურად ხალვაშს;
ხუსია ბერიძეს;
რეზიმ ბერიძეს;
მთელ სოფელს...

• • •

მანქანა ნელა ირწევა ღამის ბინდბუნდში. ფარნის შუქზე ჩანს — წვრილად და ხვავრიელად თოვს. უკან დარჩა ცხმორისი, წონიარისი, აბუქეთა... მძღოლი ჯერ ღიღინებდა. მერე გაბედა და მთელი ხმით შემოსძახა სიმღერა. მე ყური მივუგდე, ეს იყო სიმღერა მთის ლამაზ ყვავილებსა და გაზაფხულზე.

უკან გბრუნდებოდი. რაზე დავწერ მე ახლა? შევძლებ ავსახო იმ ადამიანთა ცხოვრება, რომლებიც ახლა იქ, მთაში დარჩნენ, რომლებიც ოცნებობენ, შრომობენ, და რომელთა ცხოვრება ისეთივეა, როგორც აი ამ მძღოლის სიმღერაა, მთის ლამაზ ყვავილებზე რომ მღერის?

ს. გიორგაძე.

ქედის რაიონი.

ქ. ზუგდიდის სახ. საჯარო საბავშვო რუსულ-ქართული ბიბლიოთეკა

სამამულო ომი ქართულ პროზაში

„დიდი სამამულო ომის თემა ქართულ პროზაში“ ასე ეწოდება ე. ბართაიას მონოგრაფიას, რომელიც გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოუშვა. წიგნი შეიცავს შემდეგ თავებს: „ომის პერიოდის პროზა“. „მოთხრობები და ნოველები ნამდვილ ადამიანებზე“, „ახალი სახეები“ და „დოკუმენტური მოთხრობები და მხატვრული ნარკვევები“.

ომის პირველ თვეებშივე ქართველი მწერლები კ. გამსახურდია, ლ. ქიაჩელი, შ. დადიანი, მ. გარიყული, ს. კლდიაშვილი და სხვები ქმნიდნენ შთაგონებულ ნაწარმოებებს ჩვენი ადამიანების დიდ პატრიოტიზმზე, რომლებიც იარაღით ხელში სასიკვდილოდ შეებნენ ფაშიზმს.

არმიაში გაწვეული ბევრი ქართველი ლიტერატორი ხიშტით და კალმით იბრძოდა გამხეცებული დამპყრობლების წინააღმდეგ. ფრონტელმა მწერლებმა კ. ლორთქიფანიძემ, გ. ნატროშვილმა, ე. ზედგინიძემ, თ. დონყაშვილმა, ნ. აგიაშვილმა, ნ. კაკუშაძემ, ი. ურჯუმელაშვილმა, რ. ჯაფარიძემ, ვ. თორდუამ და სხვებმა პირად შთაბეჭდილებათა საფუძველზე შექმნეს მთელი რიგი მკაფიო ნაწარმოებები, რომლებმაც გაამდიდრეს ქართული პროზა. კ. ლორთქიფანიძის „მწვანე ღილი“, „უტყუარი მოთხრობები“, „სიკვდილი ცოტას მოიცდის“, დ. შენგელაიას „წითელი ყაყაჩო“ მკითხველთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობენ.

ჩრდილოეთ კავკასიასა და ყირიმში ქართველ მსროლელთა დივიზიის მეომრების ხშირი სტუმრები იყვნენ მწერლები ს. ჩიქოვანი, ი. აბაშიძე, გ. ქუჩიშვილი, რ. გვეტაძე, ე. ჭარელიშვილი და სხვები. თავიანთი შთაბეჭდილებები მათ აღწერეს წიგნებში დიდი სამამულო ომის ფრონტებზე ქართველი მეომრების მამაცობისა და გმირობის შესახებ.

მკაფიო მოთხრობები, ნოველები და ნარკვევები დიდი სამამულო ომის შესახებ შექმნა ბევრმა სხვა ქართველმა მწერალმაც.

გამოკვლევა ქართული ფოკალური ხელოვნების შესახებ

საქართველო დიდი მუსიკალური კულტურის მხარეა, მას აქვს ვოკალური ხელოვნების უძველესი ტრადიციები. ამ ტრადიციების ისტორიას, ეროვნულ საოპერო შემსრულებლობას გადაეძღვნებს თვალს მკითხველი რესპუბლიკის სახალხო არტისტას დ. მჭედლიძის წიგნში „ქართველ მომღერალთა სამი თაობა“, რომელიც გამოუშვა გამომცემლობა „მერანმა“.

წიგნში ქართველი ვოკალისტები პირობითად დაყოფილი არიან სამ თაობად.

პირველ პლეადას ეკუთვნიან მომღერლები, რომლებმაც მოღვაწეობა დაიწყეს გასული საუკუნის დამლევს. ამ პლეადას სათავეში უდგას ფილიმონ ქორიძე — პირველი პროფესიული მომღერალი, რომლის გამოჩენა სოპერო ხელოვნების სარბიელზე მკაფიო მოვლენა იყო.

მეორე თაობის წარმომადგენლებთან დაკავშირებულია ქართული ვოკალური ხელოვნების მძლავრი აღმავლობა, ეროვნული რეპერტუარის საშემსრულებლო ტრადიციების განმტკიცება. ამ თაობას ამშვენებენ ისეთი მომღერლები, როგორიც იყვნენ ე. სარაჯიშვილი, ო. ბახუტაშვილი-შულგინა, ს. ინაშვილი და სხვ.

მესამე თაობას ავტორი მიაკუთვნებს იმათ, ვის სახელებთანაც დაკავშირებულია ქართული ვოკალური სკოლის ფართო აღიარება. ამ პლეადას ეკუთვნიან ნ. ჭუმსიაშვილი, დ. ანდღულაძე, დ. ბადრიძე, პ. ამირანაშვილი, ლ. გოცირიძე, ბ. კრავციშვილი.

წიგნში დირსეული ადგილი აქვს დათმობილი ცნობილი საესტრადო მომღერლების თამარ წერეთლისა და ქეთო ჯაფარიძის შემოქმედებას.

გულთბილად წერს დ. მჭედლიძე ქართველ დირიჟორებზე, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ქართული საოპერო ხელოვნების განვითარებასა და მომღერალთა ეროვნული კადრების აღზრდაში.

ქართველ ავტორთა ნაწარმოებები უკრაინაში

უკრაინელი მკითხველისათვის ფართოდ არის ცნობილი ქართველ მწერალთა ნაწარმოებები. რესპუბლიკური წიგნის პალატის მონაცემებით, მარტო ომისშემდგომ წლებში მათი წიგნები თითქმის ორი მილიონი ტირაჟით გამოვიდა.

უკრაინაში გამოვიდა ქართული პოეზიის ორტომიანი ანთოლოგია, მრავალათასიანი ტირაჟებით არის გამოცემული ქართული ხალხური ზღაპრების ექვსი კრებული.

უკრაინაში თითქმის არ არის კაცი, რომელმაც არ იცოდეს ქართული ლიტერატურის კლასიკოსის **შოთა რუსთაველის** უკვდავი ქმნილება **„ვეფხისტყაოსანი“**. 150 ათასი ტირაჟით გავრცელდა ვაჟა ფშაველას, მიხეილ ჯავახიშვილის, ნოდარ დუმბაძის, მარიკა ბარათაშვილის წიგნები.

55 ქართველი მწერლის ნაწარმოებებს კითხულობენ უკრაინის ქალაქებსა და სოფლებში.

ჩვენი მეცნიერები საზღვარგარეთ

თბილისიდან კუბაში გაემგზავრა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერებათა კანდიდატი კ. გოგიშვილი. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ქართველი მეცნიერი კუბელ სპეციალისტებთან ერთად შეასრულებს კვლევითს მუშაობას მეტეოროლოგიისა და კლიმატოლოგიის დარგში.

უკანასკნელ ხუთ წელიწადში ქართველ მეცნიერთა მონაწილეობით კუბაში შესრულდა მეცნიერული გამოკვლევები ფიზიკური და ეკონომიური გეოგრაფიაში. ისინი კუბელ სპეციალისტებთან და საბჭოთა კავშირის მთელი რიგი სამეცნიერო ინსტიტუტების მეცნიერებთან ერთად სწავლობდნენ კუბის ტერიტორიის გეოლოგიურ აღნაგობას, მის კლიმატს, ნიადაგის რელიეფს, მცენარეულობას და სამეურნეო საქმიანობის ასპექტს.

ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი აქტიურ მონაწილეობას იღებს კუბის ეროვნული ატლასის მომზადებაში, ატლასზე საავტორო მუშაობა ძირითადად დამთავრდა. ახლა მას ამზადებენ გამოსაცემად. ეს არის **160**-ზე მეტი რუკა, რომლებიც ასახავენ რესპუბლიკის ბუნებრივ რესურსებს, მის ისტორიასა და კულტურას, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგს.

კუბის ატლასი გამოვა **1970** წელს. ეს იქნება ამგვარი ტიპის პირველი მნიშვნელოვანი მეცნიერული ნაწარმოები მთელ ლათინურ ამერიკაში. ატლასი მნიშვნელოვან მეთოდურ ინტერესს იწვევს მსოფლიოს ყველა განვითარებად ქვეყანაში, რომლებმაც უნდა განახორციელონ ასეთი ტიპის მეცნიერული გამოკვლევები.

გვიწვევს „რიმოლდი“

იტალიაში ცნობილი ფირმის „რიმოლდის“ მიწვევით გაემგზავრა საბჭოთა სპეციალისტების ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშია ჩვენი რესპუბლიკის ათი წარმომადგენელი.

ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ტრიკოტაჟის განყოფილების უფროსმა ტატიანა ალექსიშვილმა „საშობლოს ხმის“ კორესპონდენტს აცნობა:

— მილანოში არსებული ფირმა „რიმოლდი“ უშვებს მანქანებს ტრიკოტაჟის წარმოებისათვის. ჩვენი მიზანია გავეცნოთ ქარხანას, რომელიც ამ ავრეგატებს ამზადებს, ტრიკოტაჟისა და სინთეზური ნაწარმის შეკერვის ტექნოლოგიას, ამ ფირმის მანქანებით აღჭურვილ მთელ რიგ საბრიკოტაჟო ნაწარმოებებს. დაზგები „რიმოლდი“ დიდი სიჩქარისაა, აღჭურვილია მრავალი მექანიზმით, რომლებიც შრომას ამარტივებენ. თბილისის № 1 საბრიკოტაჟო ფაბრიკამ შეისყიდა ასამდე იტალიური დაზგა.

პავილიონი „მტკვარი“

რუსთავში, მტკვრის ნაპირზე, გაიხსნა პავილიონი „მტკვარი“. პავილიონი გაფორმებულია ქართული სტილით, აქვს დიდი დარბაზი, რამდენიმე კაბინეტი. ეზოში ავტომანქანების სადგომი, აუზი, ფანჩატურები. პავილიონის გვერდით აშენებენ ბაღს, სადაც ზაფხულობით შეიძლება სასიამოვნოდ და კულტურულად დროს გატარება.

ფილმში მხოლოდ „აჩრდილები“ არიან

ცოცხალი ადამიანის მოცულობითი გამოსახულება მიიღო ფიზიკოსმა ბექნაზარ ჯაკობაშვილმა. „აჩრდილები“ ქმნის ობიექტის არსებობის სრულ ილუზიას.

წინათ მეცნიერი, რომელიც წყვეტს მოცულობითი კინემატოგრაფიის შექმნის პრობლემებს, ქმნიდა უძრავი სავნების „პირებს“.

ამ ექსპერიმენტებს საფუძვლად დაედო ფიზიკური მოვლენა, რომელიც მეცნიერებაში ცნობილია გოლოგრაფიის — ულინზო ოპტიკის სახელწოდებით. იგი ცნობილი იყო თითქმის ოცი წლის წინათ, მაგრამ მკაფიო მოცულობის გამოსახულების მიღება მოხერხდა მხოლოდ ლაზერების — სინათლის ძლავრი წყაროების აღმოჩენის შემდეგ. ორი ტყუპი სხივი, რომლებსაც ერთნაირი სიგრძის ტალღა (ფერი) და შეთანხმებული ფაზები აქვთ, აღბეჭდავენ ფოტოფირზე (გოლოგრამაზე) სავნის გაშიფრულ სურათს. თუ ობიექტის გადანაცვლების ყოველი ახალი ფაზისათვის შევცვლით გოლოგრამის ორიენტაციას, მისი გაშუქებით და ტრიალით მივაღწევთ მოცულობითი მოძრავი გამოსახულების ილუზიას.

მეცნიერს მიაჩნია, რომ მოცულობითი კინოს შექმნა მსახიობთა მონაწილეობით რამდენიმე თვის საკითხია. ჯერჯერობით ის „იღებს“ ექსპერიმენტულ მოკლემეტრაჟიან ფილმს, სადაც ცოცხალი გმირების ნაცვლად თოჯინები არიან.

ოპერაციები არ გამოდიოდა. თავდაპირველად შეხორცების პროცესი ნორმალურად მიმდინარეობდა, შემდეგ კი ნაკერები შლებოდა, ჭრილობა ჩაიქცებოდა. იტანჯებოდნენ ავადმყოფები. ნერვიულობდნენ ქირურგები. ავადმყოფობა კი სახუმარო როდია — ყელის კიბო. თუ გადამწყვეტ ზომებს არ მიიღებ, ავადმყოფი დაიღუპება. კვლავ გულდასმით სწავლობდნენ ოპერაციის თითოეულ ეტაპს. თითქოს ყველაფერი სწორად გაკეთდა. და მაინც სადღაც შეცდომაა.


პრობლემის გადაჭრაზე შრომობდა ბევრი მეცნიერი მედიკი, ყველაზე საინტერესო და ეფექტიანი აღმოჩნდა მეთოდი, რომელიც გამოიხატებოდა ხორხის ამოკვეთის შემდეგ ჭრილობის გაკერვის ახალი ხერხით (როგორც აღმოჩნდა, სწორედ ნაკერი იყო ყველაფრის მიზეზი). ახალი მეთოდი შეიმუშავეს პროფესორებმა ს. ხეჩინაშვილმა და მ. თოიძემ. მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ექიმ შ. ტყემალაძის თანაავტორობით, რომელსაც დაევალა გამოკვლევის ექსპერიმენტული ნაწილი.

შ. ტყემალაძემ ბრწყინვალედ გაართვა თავი პასუხსაგებ დავალებას. ორ წელიწადში მან ათობით ექსპერიმენტი შეასრულა საცდელ ცხოველებზე და სულ უფრო მეტად რწმუნდებოდა თავისი ხელმძღვანელობის მეთოდის სისწორეში. ექიმმა გამოიკვლია ყელის შეხორცების პროცესი, შეისწავლა სხვადასხვა გასაკერი მასალის თვისება, რომლებსაც იყენებდნენ ხორხის ამოკვეთის დროს. ექსპერიმენტული მონაცემებისა და კლინიკური დაკვირვებების მასალები საფუძვლად დაედო დისერტაციას მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, რომელიც შ. ტყემალაძემ წარმატებით დაიცვა რამდენიმე წლის წინათ. ექიმის მუშაობას მაღალი შეფასება მისცეს მოსკოვის მ. ფ. ვლადიმირსკის სახელობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ყურის, ყელისა და ცხვირის დაავადებათა კათედრის გამგემ, პროფესორმა ი. სერდულკინ და კიევის აკადემიკოს ა. ა. ბოგომოლეცის სახელობის სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორმა ი. შვარცბერგმა, ერევნის სამედიცინო ინსტიტუტის ოტოლარინგოლოგიური კლინიკის გამგემ, პროფესორმა ნ. ნაჯარიანმა და სხვებმა.

ქართველ მედიკთა ახალი მეთოდის ფართოდ გამოყენებამ ექიმებს ხელში მისცა მძლავრი იარაღი ყელის ავთვისებიან წარმონაქმნებთან ბრძოლაში. ახლა უკვე აღწევენ ოპერაციების მაქსიმალურ ეფექტიანობას.

ყელის დაავადებას ღღესაც დიდმნიშვნელოვანი ადგილი უკავია ექიმის საქმიანობაში. შ. ტყემალაძემ მთელი რიგი რთული ოპერაცია გააკეთა. ბევრი მისი ყოფილი პაციენტი მადლიერებით იგონებს შესანიშნავ ექიმს.

სოფიკო ჭიაურელის კინოგმირები



როგორ გახდა სოფიკო ჭიაურელი კინომსახიობი? ეს კითხვა არ დაგებადებათ, თუ ჭიაურელ-ანჯაფარიძის ოჯახის ტრადიციას გაიცნობთ. ამ ოჯახის წევრებისათვის მსახიობობის გარდა სხვა გზა არ არსებობს, ისინი მხოლოდ ხელოვნებით სუნთქავენ, სულდგმულობენ. სოფიკოს მამას — მიხეილ ჭიაურელს, სახელგანთქმულ კინორეჟისორს, ჩვენთან ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის ერთ-ერთ ფუძემდებლად თვლიან. დედა — ვერიკო ანჯაფარიძე კი კინოსა და თეატრის სახელმოხვეჭილი აქტორია; ძმები რეჟისორ-დოკუმენტალისტები არიან. სოფიკოს ქმარი — გიორგი შენგელაია კინორეჟისორია. იგი კიდევ ერთი „კინემატოგრაფისტული დინასტიის“ წარმომადგენელია. გიორგი რეჟისორ ნიკოლოზ შენგელაიასა და მუნჯი კინოეკრანის ვარსკვლავის ნატა ვაჩნაძის შვილია. ერთი სიტყვით, მოკლედ რომ ვთქვათ, ეს გაერთიანებული ოჯახი, რომლის წევრები არიან აგრეთვე ახალგაზრდა ნიჭიერი რეჟისორი გია დანელია და ცნობილი კინომსახიობი არიადნა შენგელაია, საქართველოს კინოხელოვნების სოლიდურ რაზმს შეადგენს. უმათოდ ქართული კინოს განვითარება წარმოუდგენელია.

ასეთ ოჯახებში ბავშვები ხელოვნების სილამაზეს, სიყვარულს ადრეული ასაკიდანვე ეზიარებიან ხოლმე. სოფიკო — ყველაზე უმცროსი ოჯახში — მორცხვი გოგონა იყო. მშობლებმა მსახიობის მონაცემები მასში კარგა ხანს ვერ შენიშნეს და მისთვის კინოლამ სხვა სპეციალობის არჩევაზე ჩაფიქრდნენ, მაგრამ მოულოდნელად გოგონამ ჯიუტად განაცხადა, რომ მსახიობობა სურდა. კინემატოგრაფიის საკავშირო ინსტიტუტის პროფესორებმა (სოფიკომ ამ ინსტიტუტში ჩააბარა გამოცდები სამსახიობო ფაკულტეტზე) მალე შენიშნეს გამხდარ, მორცხვ გოგონაში ხელოვანის მომადლებული ნიჭი. მაგრამ სოფიკო ჭიაურელი უცებ არ გამხდარა მსახიობი, მისი ტალანტი თანდათანობით იფურჩქნებოდა.

მისი პირველი ფილმი, სადაც უკვე გამოჩნდა სოფიკოს აქტიორული ინდივიდუალობა, რეჟისორ რეზო ჩხეიძის სურათი „ჩვენი ეზო“ იყო. აქ მან 19 წლისამ ითამაშა ერთი ქალაქელი მოზარდი გოგონას ციცინოს როლი. ამ ფილმით ნიჭიერმა რეჟისორმა რეზო ჩხეიძემ აღმოაჩინა სოფიკო ჭიაურელი და, შეიძლება ითქვას, საკუთარი თავიც აღმოაჩენინა მას. ეს უკვე ცოტა რამეს როდი ნიშნავდა.

მოგვიანებით მიხეილ ჭიაურელის ფილმებში მან ორი დიდი რთული როლი შეასრულა. განასახიერა ზოსია „გენერალსა და ზიზილ-პიპილებში“ და — ტასო კომედიაში „რაც გინახავს, ველარ ნახავ“.

კინოკომედია „რაც გინახავს, ველარ ნახავ“ XIX საუკუნის თბილისელი სელოსნების — ყარაჩოხელების თავისებურად საინტერესო და კოლორიტულ ცხოვრებას გვაცნობს. კინოკომედია მუსიკალურია. სოფიკო ჭიაურელმა დაგვიხატა გულუბრყვილო, გამოუცდელი, მაგრამ ენკვიმატი სოფლელი გოგონას ტასოს შთამბეჭდავი სახე. ამ როლით მან ჭეშმარიტი აქტიორული ტალანტი, ტემპერამენტი და უშუალობა გამოავლინა. ტასოს თავისუფლად და ამაყად უჭირავს თავი სატრფოს — საკოს წინაშე. მაგრამ როგორც კი დობილებთან მარტო დარჩება, დაუოკებელი მომხიბლავი მხიარულება ეუფლება. მაგრამ ასევე ტემპერამენტულ სიძულვილს ავლენს იგი მდიდრებისადმი, რომლებიც ფულით ცდილობენ ლამაზი გოგონას ხელში ჩაგდებას.

ამ სამი წლის წინათ საკავშირო კინოფესტივალზე კიევში სოფიკო ჭიაურელმა ქალის როლის შესრულებისათვის მეორე პრიზი დაიმსახურა. ამ ფესტივალზე წარდგენილი იყო რეჟისორ შოთა მანაგაძის მუსიკალური კინოფილმი „ხევსურული ბალადა“, სადაც სოფიკო მთიელ გოგონას — მზექალას განასახიერებდა. ამ გოგონას რთული სახის შექმნის შემდეგ სოფიკოს შემოქმედებაში ახალი ეტაპი დაიწყო. კერძოდ მან წარმატებით დაიწყო გამოსვლა თეატრშიც. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი გახლდათ უანა დ' არკის როლი ანუილის პიესაში, რომელიც თბილისის მარჯანიშვილის სახელობის თეატრში დაიდგა. ეს უკვე ისეთი როლია, რომ იგი ტემპერამენტის გარდა მსახიობისაგან დიდ საშემსრულებლო კულტურასა და ოსტატობას მოითხოვს.

...საქართველოს ეგზოტიკურ მხარეში — ხევსურეთში იშლება ფილმ — „ხევსურული ბალადის“ მოქმედება. ქალიშვილი მზექალა, რომელსაც სოფიკო განასახიერებს, ძველ თემობრივ ტრადიციებზეა აღზრდილი. მთაში სილამაზით განთქმული ქალიშვილი ქალაქიდან ჩამოსულს შეიყვარებს, დაუფიქრებლად მიჰყვება მას უცხო სამყაროში და იღუპება, როცა სატრფოს ეფარება, რომ დაიცვას იგი მოწინააღმდეგისა და მოსისხლის მიერ გასროლილი ტყვიისაგან. ფინალში, როცა გოგონა მიხვდება, რომ მისი გრძნობა საყვარელი ადამიანის სიცოცხლეს საფრთხეში აგდებს, სოფიკო ჭიაურელი, როგორც მსახიობი ადის ჭეშმარიტად ტრაგიკულ სიმაღლემდე. იგი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძვის თავისი ბედნიერებისათვის; ხასიათის სიმტკიცე, უბრალოება, გულახდილობა, მამაცობა, აი რით არის დაჯილდოებული მზექალას სახე, რომელიც ნამდვილი ხელოვანის ფერებით გამოძერწა ეკრანზე სოფიკო ჭიაურელმა.

ამის შემდეგ სოფიკომ მრავალი მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. აღსანიშნავია სერგო ფარაჯანოვის ფილმი „საიათ-ნოვა“, სადაც მან ერთად სამი როლი ითამაშა. მაგრამ სოფიკოს ინტერესს მაინც თანამედროვე ქალის სულიერი სამყარო წარმოადგენს. მისი გმირები გამგებნი, დაფიქრებულნი, საკუთარი ღირსების მატარებელი ქალები არიან. იგი ასეთად წარსდგა ჩვენს წინაშე ნანა მჭედლიძის მოკლემეტრაჟიან ფილმშიც „დაბარუნებული ღიმილი“.

სიყვარული თუგინდ ცალმხრივი იყოს, მაინც ბედნიერებაა, ასეთია ამ ფილმის დედააზრი. სოფიკო დამაჯერებლად, ხატავს ელენეს სახეს, რომელიც გულით ღირსეულად ატარებს სიყვარულს, რომელსაც არავინ პასუხობს.

თანამედროვე გულკეთილი მეოჯახე ქალის როლი შეასრულა სოფიკო ჭიაურელმა ლანა ღოღობერიძის ფილმში „ფერისცვალება“, რომელიც ახლახან გამოვიდა ჩვენს ეკრანებზე.

თავისი ასაკითა და აქტიორული სტაჟით სოფიკო ჭიაურელი ახლა უახლოვდება შემოქმედებითი მომწიფების ზღვარს, თუმცა მან უკვე მოასწრო ბევრი როლის შესრულება კინოშიც, თეატრშიც, და ყველა ეს როლები ჩვეული ტემპერამენტით, დამაჯერებლობით განასახიერა. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ახალგაზრდა მსახიობმა ისწავლა საკუთარი გმირების სიხარულითა და წუხილით ცხოვრება, ეს კი უფლებას გვაძლევს ვიწინასწარმეტყველოთ მისი უკეთესი მომავალი.


კ. წერეთელი.



სურათებზე: კადრები ფილმიდან „ენგურის ნაპირებზე“, რომელშიც სოფიკო ჭიაურელმა ჩვეული ოსტატობით განასახიერა მთავარი როლი.

[-10]

48. 16/54



საქართველოს კურორტებზე



შარშანდელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოს კურორტების სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების რაოდენობა. ბევრ კურორტზე მწყობრში ჩადგა ახალი კორპუსები, რომლებმაც ახალ სეზონში პირველად მიიღეს დამსვენებლები.

შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე კურორტებზე უკვე კარგა ხანია სეზონი დაიწყო (აქ ხომ ზამთარიც დასვენების დროა), მაგრამ მთის კურორტებისაკენ სულ ახლახან დაიძრნენ დამსვენებელთა პირველი ჯგუფები. მაისის მეორე ნახევარში მიიღეს სტუმრები ლებარდემ და ბახმარომ, შოვმა და უწერამ. აქ ახლა გაზაფხულს ხელახლა იგრძნობს ადამიანი. ხეები ნორჩი ფოთლებით შრიალებენ, მოლი ბიბინებს...

ეს მაღლივი შენობები (სურათზე ზემოთ) ბიჭვინთაში ამ უკანასკნელ ორ წელიწადში აშენდა. ამ ახალგაზრდა კურორტზე ახლა სეზონში ათასობით ადამიანი ისვენებს არა მარტო საქართველოდან, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდანაც.

ჭალაძი-ბაღი. ასე უწოდებენ საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს კურორტს — **ბორჯომს** (სურათზე ქვემოთ). ეს შესანიშნავი ადგილი უხვად დაუჯილდოებია ბუნებას სილამაზითაც და სიმდიდრითაც. კურორტი მწვანეშია ჩაფლული. მაგრამ ბუნების სილამაზესთან ერთად აქ დამსვენებელს სახელგანთქმული მინერალური წყლებიც იზიდავს.

ქუთაისის ბოტანიკური ბაღი

ქუთაისელ მშრომელთა დასვენების ადგილად იქცა ჰომის პარკი. მას 3,5 ჰექტარი უჭირავს.

თვალწარმტაცია პარკი. მეტად საინტერესოა ეგზოტიკური მცენარე — ამერიკული მარადმწვანე სექვოია, რომლის სიმაღლე 55 მეტრს აღემატება, ხოლო დიამეტრი 160 სანტიმეტრს. ჩვენს ქვეყანაში ყველაზე დიდი სექვოიაა. ახლა ის 125 წლისაა. პარკში არის ჰორიზონტალური და პირამიდული კვიპაროსები, ჰიმალაის კედრები, იაპონური კრიპტომერიები, მექსიკური ჭაობის კვიპაროსები, დიდყვავილა მაგნოლიები, ცხენისწაბლა და სხვ. სულ პარკში ამჟამად 120-მდე სახეობის მცენარეა.

ამას წინათ პარკის ბაზაზე შეიქმნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბოტანიკური ბაღის ქუთაისის ფილიალი.

100 წლის სკოლა

ჭიათურა. სოფელ ჩხირაულის რვაწლიან სკოლას **100 წელი** უსრულდება. სკოლის ძველ პასპორტში აღნიშნულია დაარსების წელი — 1869. არსებობის 100 წლის მანძილზე სკოლაში სხვადასხვა დროს უმუშავნია ბევრ სახელგანთქმულ პედაგოგს. სკოლამ მრავალი სასახელო ადამიანი აღზარდა. მათ შორის არიან: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი რევაზ ქაპანაძე, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი მიხეილ ჩინჩალაძე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ანზორ ქაპანაძე და სხვები.

საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით განხორციელდა სკოლის რეკონსტრუქცია.

„დედის დღე“

ოჩამჩირის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ტრადიციულად არის შემოღებული „დედის დღე“. იგი ეწყობა ლოზუნგით — განვამტკიცოთ სკოლისა და ოჯახის კავშირი. ამასწინათ „დედის დღე“ მოეწყო ოჩამჩირის რკინიგზის № 15 საშუალო სკოლაში.

შეხვედრა მწერლებთან

საჩხერის რაიონის ბაჯითის 8-წლიან სკოლაში შეხვედრა მოუწყიათ ქართველ მწერლებს რ. ჯაფარიძეს, ე. მაღრაძეს, გ. ურჯუმელაშვილს და შ. ფორჩხიძეს. მოხსენება მათი შემოქმედების შესახებ გააკეთა მასწავლებელმა გ. ლომიძემ.

დაგეძებენ, მოგელიან



ზოთა სპირიდონის-ძე ლომიძეს, დაბადებულს ქ. თბილისში 1919 წელს, ეძებს დედა — **ვერა ოჭროპირის ასული ლომიძე.** მცხოვრები ქ. თბილისში ოქტომბრის ქ. № 137.

ᲛᲝᲣᲡᲛᲘᲜᲔᲗ საქართველოს

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე. თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

საერდაქციო კოლეგია

ჩვენი მისამართია

თბილისი, გ. ათონელის ქ. № 25.